ნოდარ პაპიძე: ბატონო ზურაბ, დეპორტირებული მესხების ანუ იმავე "თურქი მესხების" პრობლემა კვლავ დგას დღის წესრიგში. ეს თემა ფართე საზოგადოების მსჯელობის საგნად აქციეს ქართველმა დისიდენტებმა 70-იანი წლების შუა ხანს. თუ მეხსიერება არ მღალატობს, ისინი მაშინ მათ უპირობო რეპატრიაციას მოითხოვდნენ. პერესტროიკისა და "ფერდანის ტრაგედიის" შემდეგ კი ფილტრში გატარებას და მხოლოდ ნაწილის შემოშვებას. გვახსოვს ისიც, რომ დისპუტებსა და მწვავე კომპანიას თქვენი ხმაც არაერთგზის შეაწიეთ და, ჩანს, საკითხის ისტორიას იცნობთ. ზურაბ კიკნაძე: მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა ეს მახინჯი და პროვოკაციული ტერმინი "თურქი მესხები", რომელიც არა და არ ამოიძირკვა ჩვენი ლექსიკონიდან. იმ დროს, თქვენ რომ გაიხსენეთ, ქართველ დისიდენტთა ვიწრო წრე მესხეთიდან გასახლებულ ქართველ მაჰმადიანებს ესარჩლებოდა. ერთ-ერთი (შესაძლოა, ერთადერთი) დადებითი რაც იყო იმ მოძრაობაში, ეს მაჰმადიანი მესხების გამოსარჩლება იყო. ყველაფერი ეს ასახულია მათ თვითგამოცემებში და, უნდა ითქვას, რომ ამ წამოწყების მესვეურთა - ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, ვიკტორ რცხილაძის მცდელობები ჩვენს ისტორიაში ერთ ნათელ წერტილად დარჩება. ვისაც დღეს ატაცებული აქვს ეს, როგორც ამბობენ, "შემოგდებული" (ამ "შემოგდების" ფაქტიც გაცნობიერებულია) ტერმინი, სურს ამით პასუხისმგებლობა მოიხსნას და თავისი სახელით საზოგადოებას, მთელ ქართველობასაც მოხსნას გაუბედურებული ტომის წინაშე მისი "თურქობის" გამო, იმ ადვილად გასაგები მოტივით, რომ თურქების პრობლემა საქართველოს პრობლემა არ არის. ვინც მაჰმადიან მესხებს თურქებად თვლის და ამ ცილისწამებას ყოველნაირად ნერგავს, იმათ საქმეს აგრძელებს, ვინც მათ გათურქებას ცდილობდა. ესენი არა უცხონი, არა გადამთიელნი, არამედ ქართველი ბოლშევიკები იყვნენ, რომლებმაც ძალდატანებით აზერბაიჯანულ სკოლებში შეყარეს ქართველი მაჰმადიანი ბავშვები, ყოველნაირად ცდილობდნენ გვარტომობა დაევიწყებინათ მათთვის. ჩვენი დისიდენტები მაშინ შეეგებნენ "გათურქებული" მესხების მცდელობას გვარტომობის დასაბრუნებლად. უმეტესობა მათგანს ახსოვდა ქართული წარმოშობა და გვარები... მერე ყველაფერი უკუღმა დატრიალდა. ეროვნულ-განმათავისუფლებელ მიტინგებზე დაიწყეს მესხების მოსარჩლე "პროთურქული" მოღვაწეების მხილება, მათი გამოცხადება მოღალატეებად, აუტოდაფეს მოთხოვნა... ბოლოს, საქმე იქამდე მივიდა - და ამ აქციაში, "მრგვალი მაგიდა" და, პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, საქართველოს "ჰელსინკის კავშირი" იღებდა მონაწილეობას, - რომ სოფელ ბრეთში დასახლებული მესხების (დვალიძეების) ათ ოჯახს ადგილობრივი მოსახლეობა აუჯანყეს და საქართველოდან გააძევებინეს. ეს მოხდა 1990 წლის 24 ივლისს, კარგად მახსოვს, მომაკვდავმა საბჭოთა პრესამაც ღვარა ნიანგის ცრემლები... მერე მისდგნენ ახალშენს (ხონში) და ა.შ. ნ.პ.: როგორ ფიქრობთ, რამ შეუცვალა დიამეტრალურად ორიენტაცია ზ.გამსახურდიას მაჰმადიანი მესხების მიმართ? ზ.კ.: იმ ხანად მას დასჭირდა მეტად საშიში, ეროვნულობისათვის მომაკვდინებელი ზიანის მომტანი მტრის ხატის შექმნა. ამ ხატმაც არ დააყოვნა. მან აიტაცა ტერმინი "თურქი მესხი", თუმცა გულში დარწმუნებული იყო მათ ქართველობაში. მესხების საკითხი ეროვნულ მოძრაობაში სპეკულაციის საგანი შეიქნა, რამაც საკმაოდ მსუყე ქულები

დაუგროვა მოძრაობის მესვეურთ (პარალელურად გაჩნდა ლეკების ცრუპრობლემა კახეთში). როგორც მაშინ დისიდენტებს სახელი გაუთქვა მესხების პრობლემასთან შეჭიდებამ, ახლაც "დიდი თურქობის" მოსალოდნელი საფრთხის აღმოჩენამ მხურვალე პატრიოტების სახელი გაუთქვა მათ. მესხების საწინააღმდეგო ტალღა თავის მხრივ ააბობოქრა პრესამ, განსაკუთრებით ტელევიზიამ, რომელმაც ამოქექა მესხეთში დაძაბულობის (მხედველობაშია ამ საუკუნის 10-იანი წლები) დროინდელი ფაქტები, საეჭვო ვიდეო მასალით და ისტერიული კომენტარებით "აშუქებდნენ" ამ ფაქტებს, აშინებდნენ, ამხედრებდნენ საზოგადოებას მათ წინააღმედეგ. გაჩნდა სილოგიზმები: წინაპრები რას გვიშვრებოდნენ და მათი შთამომავლები დაგვინდობენო? ეროვნულ მოძრაობას რომ არ მოჰყოლოდა ეს მღვრიე ტალღა, მესხების პრობლემა დღეს სულ სხვანაირად იდგებოდა ჩვენს სინამდვილეში. ნ.პ.: რაც შეეხება მათ შთამომავლებს, მე კარგად მახსოვს 70-იანი წლების ერთი თვითგამოცემიდან სტატია "მესხთა ტრაგედია". ბევრი საინტერესო დეტალი ჩაიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში. მათ შორის: რესტორანი "თბილისი", სუფრას უსხედან საქართველოში ადამიანის უფლებათა ჰელსინკის საინიციატივო ჯგუფის წევრები და მათი სტუმრები - გასახლებულ მესხთა წარმომადგენლები, შეისმის სადღეგრძელო: "ჩვენ ერთი დედის - საქართველოს - შვილები ვართ. რაც შეეხება რელიგიას, მოდით, იმ რელიგიას გაუმარჯოს, რომელიც მეტ სიყვარულს დაამყარებს ძმათა შორის..." ზ.კ.: კარგად გაიხსენეთ. გასულ საუკუნეშიც, როცა აჭარა შემოგვიერთდა, მაშინდელი ქართველი ინტელიგენცია ცდილობდა, რომ რელიგიურ ფაქტორს ეროვნული კონსოლიდაცია არ დაებრკოლებინა. ორივე მხარე - ქრისტიანები და მაჰმადიანები იღვწოდნენ ამისათვის. სწორედ ასეთი სულისკვეთება იყო მაშინ, საბჭოთა დისიდენტობის დროსაც. მაჰმადიან მესხებსა და მათ შორის ნათელმირონობაც წარმოიშვა (მერაბ კოსტავას მათ შორის ნათლულები ჰყავდა). დღეს კი ჩვენი საზოგადოება, პატრიოტულად აღზრდილ-შეგნებული, იმარჯვებს ამ ავადსახსენებელ ტერმინს და ვერ ურიგდება მათ ქართველობას, ან უკეთეს შემთხვევაში, თუ ქართველებად მიაჩნია, მუსულმანობას აყვედრის და არაფრით არ სურს მათი შეწყნარება. ნ.პ.: როგორც ცნობილია, მაჰმადიან მესხთა შორის ორი ფრთაა: პროქართული და პროთურქული... ზ.კ.: მესმის შენიშვნის აზრი. ორი ფრთა ყოველთვის არ იყო. იმ დისიდენტობის ხანაში ერთი ფრთა იყო - ქართული (არ ვამბობ პროქართული). თვით ცნობილი სარვაროვი, ამჟამად პროთურქისტი, გვარად დიდებულიძე, ქართველობდა, ქართველი იყო და ეს კარგად იცოდნენ მაშინდელმა დისიდენტებმა და საიდუმლო სამსახურმაც. საბჭოთა ხელისუფლების გაუბედავმა (თუ რა ვუწოდო, არ ვიცი: ცენტრალურმა ხელისუფლებამ ეს საქმე საქართველოს პრეროგატივად ჩათვალა და მის განმგებლობას მიანდო) პოლიტიკამ, საქმის გაჭიანურებამ და, საბოლოოოდ, უარყოფითად გადაწყვეტამ, სხვა გარეშე მიზეზებთან ერთად, დროთა ვითარებაში გამოიწვია პროთურქული წრის წარმოშობა და დიდებულიძეც თურქად მოევლინა მესხებს. დააარსდა საზოგადოება "ვატან" ("სამშობლო"). გადაწყვიტეს, თუ ქართველებად ვერ შევალთ, თურქებად შევალთ, თურქებს უფრო დაგვიჭერენ მხარსო. და მართლაც სწორედ მათ დაუჭირეს (და ახლაც უჭერენ) მხარი, და არა ქართულ ფრთას, რომელიც ამჟამად საზოგადოება "ხსნის" გარშემო არის შემოკრებილი. პროთურქული

მიმართულების წარმოშობა-განმტკიცებაში ისევ და ისევ ჩვენ მიგვიძღვის ბრალი. და დღესაც ამ ბრალში ვართ. უარესი: ჩვენი ქმედებით, ჩვენი სიტყვებით ვამრავლებთ მათ რიცხვს... ნ.პ.: ამ ერთი თვის წინათ ერთმა მაღალი თანამდებობის პარლამენტარმა ამგვარად დააყენა საკითხი: თუ მხოლოდ ქართული ორიენტაციის ხალხი დავაბრუნეთ და პროთურქული არა, რა პასუხს გავცემთ ერთა თანამეგობრობასო? ზ.კ.: ეს პარლამენტარიც სპეკულაციას ეწევა მესხების პრობლემით: "დიდი თურქობის" აღმოჩენით აგროვებს ფხიზელი პატრიოტის და პოლიტიკოსის ქულებს. მან ისიც კი თქვა, რომ ფერღანიდან დევნილნი რატომ ფერღანისკენ არ ისწრაფიანო, ხომ იქ არიან დაბადებულნიო? ფერღანა მათი სამშობლო არ არისო? აი, რა დონეზეა მის შეგნებაში ეროვნული საკითხი. ამ პოლიტიკური სიბრძნით, ვერც ერთი ევროპაში დაბადებული ქართველი ვერ უნდა დაბრუნდეს საქართველოში. მისი ლოგიკით მესხეთში თურქი და თარაქამა უმრავლესობა ყოფილა, მაჰმადიანი ქართველები კი კანტი-კუნტად. ეს ისტორიის ანტიეროვნული გაყალბებაა. იმასაც ამბობს ეს დეპუტატი და სხვანიც, რომ საბჭოთა ხელისუფლების ცოდვებზე დამოუკიდებელი (არასაბჭოთა) საქართველოს ხელისუფლება პასუხს არ აგებსო, "თურქი მესხები" ჩვენ არ გაგვისახლებიაო. აქედან ერთი ნაბიჯია დებულებამდე, რომ სტალინმა ისინი სამართლიანად გაასახლა, რადგან საფრთხეს უქმნიდა საბჭოთა იმპერიის საზღვრებს ("ეგენი კაი ხალხი რომ ყოფილიყო, სტალინი არ გაასახლებდა"). ჩეჩნებიც გაასახლა, მაგრამ ჩეჩნები დაბრუნდნენ თავის ქვეყანაში და დღეს დამოუკიდებლობისთვის იბრძვიან... გაინტერესებთ პროთურქების დაბრუნება-არდაბრუნების საკითხი: ისინი დაბრუნებასთან ერთად მოითხოვენ თურქულ ავტონომიას, რაც არასოდეს ჰქონიათ. სადღაც, არა საქართველოში, ხალხი ჩამოყალიბდა სუბეთნოსად და ახლა სურს ეროვნული თვითგამორკვევა. ამ მოთხოვნის მოგერიება პოლიტიკურად არც ისე ძნელია. რაც შეეხება ქართული ორიენტაციის მესხების დაბრუნებას ეს არათუ კანონიერია, არამედ გარდაუვალიც არის. დღეს თუ ხვალ ეს მოხდება. თუ არა და, მუდმივ საყვედურად იდგება საქართველოს წინაშე. დღეს მესხების დაბრუნება საქართველოს ისტორიული ამოცანაა და ის მას გადაწყვეტს, თუ მას სურს გახდეს, თუ ჯერ კიდევ არ გამხდარა, ცივილიზებული ქვეყანა. და თუ არ დაიბრუნებს უსამართლოდ განდევნილ ხალხს, არც ყოფილა დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობის ღირსი. ნ.პ.: